ცვლილება ძალაშია 2020 წლის 29 აპრილიდან.

ინტერნეტ გვერდზე - www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შეევიდა შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალოს „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული პერსონალური ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის,მათ შორის:

- საფირმო სახელწოდების ან/და სხვა პირადი/სამეწარმეო მონაცემების;
- პოლიტიკურად აქტიური პირის[1] სტატუსის;
- იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის;
- სამართლებრივი ფორმის;
- საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის;
- ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის/წარმომადგენლ(ებ)ის/მარწმუნებლის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრ(ეებ)ის, მფლობელობისა და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის;
- ბანკისათვის მიწოდებული სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების;

ცვლილებისას კლიენტი ვალდებულია ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე (ტრანზაქციის შესრულებამდე, ნებისმიერი ტიპის გარიგების განხორციელებამდე და/ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე) წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლის/გაუქმების/შეჩერების შესახებ. კლიენტი ვალდებულია, წარუდგინოს ბანკს ზემოაღნიშნული ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალი ან სანოტარო წესით და/ან ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით დამოწმებული ასლი. კლიენტის მიერ ცვლილების შესახებ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად და ასეთ შემთხვევაში ბანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები. აღნიშნული ცვლილების შეუტყობინებლობით გამოწმვეული ნებისმიერი სახის შედეგზე, შესაბამისი ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებამდე განხორციელებული ქმედებების შედეგად დამდგარ ზიანზე (ზარალზე), რომელიც კანონდმებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს ბანკს, პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

---

1 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკურად აქტიური ფიზიკური პირი.“

2. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12[1] პუნქტი:

„12[1]. ბანკი უფლებამოსილია წელიწადში მინიმუმ ერთხელ მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის გასახსნელად წარმოდგენილი დოკუმენტების და/ან ინფორმაციის განახლება. თუ კლიენტი ვერ უზრუნველყოფს (უარს აცხადებს) ზემოაღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენას, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, შეზღუდოს და/ან შეწყვიტოს საბანკო ოპერაციების წარმოება/კლიენტისათვის მომსახურების გაწევა."

3. ამოღებულ იქნას „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-7 მუხლს მე-4 პუნქტი.